საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
FACULTY OF PSYCHOLOGY AND EDUCATIONAL SCIENCES

N 4/26
04/05/2020

4-26-4-202005041432

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2019-2020 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის დოკუმენტების წარმოდგენის ვადების განსაზღვრის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის 135/ნ ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტისა და 21–ე მუხლის მე–6 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2015 წლის 29 ივლისის N126/01-01 ბრძანების, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს 2017 წლის 25 აპრილის სხდომაზე დამტკიცებული ,,ფაკულტეტის დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსებისათვის კანდიდატთა შერჩევის წესის“ მე-7 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადეს კონკურსი ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტზე დოქტორანტთა საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.
საკონკურსო დოკუმენტები მიიღება 2020 წლის **5 მაისიდან 2020 წლის 12 მაისის** ჩათვლით. თსუ - ის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის ელექტრონულ მისამართზე: **chancellery.pes@tsu.ge**
2. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი საბუთები:

ა) განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ (დანართი 1);

ბ) ავტობიოგრაფია (CV);

გ)სამეცნიერო პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი;

22, Ilia Tchavtchavadze Ave., building 3, 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
+(995 32) 222 44 69 Tel.
psy-edu@tsu.ge E-mail

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;

ე) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;

ვ) ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

3. კონკურსის შედეგები გამოცხადდეს არა უგვიანეს **2020 წლის 25** მაისისა.

4. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილას გამოქვეყნება დაევალოს კანცელარიას.

5. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე განთავსება დაევალოს ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურს.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე

თამარ გაგოშიძე

დეკანი
ადმინისტრაცია

დანართი 1

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა

ფაკულტეტის დეკანს, პროფესორ თამარ გაგოშიძეს

დოქტორანტი----------

პირადი ნომერი----------

სადოქტორო პროგრამა----------

სამეცნიერო ხელმძღვანელი----------

განცხადება

გთხოვთ, მიიღოთ ჩემი საბუთები 2016-2017 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში დოქტორანტურაში სწავლისათვის საუნივერსიტეტო დაფინანსების მოსაპოვებლად.

წარმოდგენილი დოკუმენტების ჩამონათვალი:

1. ავტობიოგრაფია (CV);
2. სამეცნიერო პუბლიკაციების, განხორციელებული სამეცნიერო–კვლევითი, კვალიფიკაციის ასამაღლებელი და სასწავლო აქტივობების ჩამონათვალი
3. სამეცნიერო ხელმძღვანელის შუამდგომლობა;
4. ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ;
5. ამონაწერი სტუდენტის ბარათიდან GPA-ის მითითებით.

დოქტორანტის ხელმოწერა----------

თარიღი ----------

ტელეფონის ნომერი ----------

ელფოსტა----------